სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, საძირკვლების, რიგელებისა და მათი სამაგრი ელემენტების ელექტრონული ტენდერის (SPA) მეშვეობით შესყიდვის მიზნით, მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. თბილისი, **12 ოქტომბერი 2020 წ.**

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე-დავით ვარდიაშვილი;
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე- მურთაზ სიჭინავა;
კომისიის წევრი - მამუკა სხილაძე;
კომისიის წევრი - გელა კეზუა;

კომისიის წევრი - ნოდარი ქუბრიაშვილი;
კომისიის/აპარატის წევრი - ლაშა შენგელია.

სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი - დავით გოლოშვილი.

დღის წესრიგი:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, საძირკვლების, რიგელებისა და მათი სამაგრი ელემენტების (CPV-44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები, CPV-44115000) ელექტრონული ტენდერის (SPA) მეშვეობით შესყიდვის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაცის კითხვარის (პირობების) პროექტის განხილვა და დამტკიცება.

განხილვა:

1. სატენდერო კომისიამ მოისმინა ინფორმაცია მიმდინარე შესყიდვასთან დაკავშირებით, კერძოდ:
   - პროექტების დეპარტამენტის 2020 წლის 14 სექტემბრის №10337 მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, საძირკვლების, რიგელებისა და მათი სამაგრი ელემენტების შესყიდვის შესახებ;
   - სსე-ს შესყიდვების დეპარტამენტის ბაზრის კვლევისა და ბიუჯეტირების სამსახურის 2020 წლის 07 სექტემბრის №9999 და 06 ოქტომბრის №11579 სამსახურებრივი ბარათები, რომლის მიხედვითაც, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაცია მისი სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით გადაეგზავნა ბაზარზე ოპერირებად პოტენციურ მიმწოდებლებს. ბაზრის კვლევის შედეგად მოწოდებული ფასების განხილვის შემდგომ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2020 წლის 05 ოქტომბრის N42552 წერილის საფუძველზე, განისაზღვრა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება - 354 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით, 300 000 ლარი დღგ-ს გარეშე. დაფინანსების წყარო - 2020 წლის ბიუჯეტი (საკუთარი სახსრები).

2. სატენდერო კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული ინფორმაცია და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გენერირებული სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაცის კითხვარის (პირობების) პროექტი.

კომისიამ დაადგინა:

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გენერირებული სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაცის კითხვარი (პირობები);
2. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარი (პირობები) გამოქვეყნდეს ქართულ ენაზე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში (https://tenders.procurement.gov.ge);

3. დამტკიცების შემდგომ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი ხელმოწერისთანავე აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (https://tenders.procurement.gov.ge);

4. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არსებული სისტემური ღილაკის მეშვეობით (https://tenders.procurement.gov.ge/).

დავით ვარდიაშვილი ----------
კომისიის თავმჯდომარე

მურთაზ სიჭინავა ----------
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

მამუკა სხილაძე ----------
კომისიის წევრი

გელა კეზუა ----------
კომისიის წევრი

დავით გოლოშვილი ----------
კომისიის წევრი

ნოდარი ქუბრიაშვილი ----------
კომისიის წევრი

ლაშა შენგელია ----------
კომისიის/აპარატის წევრი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2020.10.12 16:40:22 +04'00'